საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 213

პარასკევი, მაისის 12 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია, მეუღლე ანიჩკა, დები: ნინო, ეზოფინე და სონა თავიანთ ქმარ-შვილით, რძალი სონა და ნათესავები აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 10 მაისს, საღამოს 5 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი

გაბრიელ ანტონის ძე შანშიაშვილი.

გამოსვენება შაბათს, 13 მაისს, დილის 9 საათზე საკუთარ ბინიდან (ტრამვაის შესახვევი № 4—დიდუბე) კათოლიკების მიძინების ეკლესიაში (შუაბაზარი), დაკრძალვა სოლოლაკში კათოლიკების სასაფლაოზე. პანაშვიდი საღამოს შვიდ საათზე. 256

ტფილისის (I) შევარდენის საბჭო, წვრთნელთა კრებული და მოვარჯიშენი აუწყებენ საქართველოს შევარდენთა კავშირის წევრებს და-ძმებს, რომ 10 მაისს გარდაიცვალა ტფილისის (I) შევარდენის საბჭოს წევრი და ვაჟთა ქვეგანყოფილების მოვარჯიშე

ძმა გაბო შანშიაშვილი.

გამოსვენება ბინიდან (დიდუბე—ტრამვაის ქ. 4) შაბათს, 13 მაისს, დილის ცხრა საათზე კათოლიკების მიძინების ეკლესიაში, დაკრძალვა სოლოლაკის სასაფლაოზე, პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 257

## განცხადება.

## ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა, (რაც დამტკიცებულია სახალხო კომისრების საბჭოს მიერ) საათის ისარი ათი მაისის შუაღამის 12 საათიდან გადაწეულია ერთი საათით წინ.

ტფ. ქალ. აღ. კომიტ. მდივანი მეხხი.

## ახალი პერიოდი

რამდენადაც ირკვევა საერთაშორისო პოლიტიკური კომბინაციები, იმდენად მტკიცდება ერთი მთავარი დებულება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა, მიუხედავად მწვავე ეკონომიური კრიზისის განცდისა, მაინც მტკიცდება. იზოლიაციაში მოყოლილი რუსეთი, რომელიც მარტოდ იბრძოდა შინაურ და საგარეო ფრონტზედ, დღეს უკვე, ასე თუ ისე, მეგობართა შორის არის მოქცეული და როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით მას ყავს მოკავშირე.

ბურჟუაზიული მთლიანი ფრონტის იდამ საშინელი კრახი განიცადა და იგი ვერ გადაარჩინა ვერც მოქნილმა დიპლომატიამ ლოიდ ჯორჯისა. ასეთ პირობებში საქართველოს საკითხი თავისთავად status quo-ს მდგომარეობაში რჩება და არ არის მოსალოდნელი რაიმე ახალი კომბინაცია, რომელიც ახლო მომავალში გადასწყვეტს საქართველოს საკითხს.

საერთაშორისო მდგომარეობა ერთობ აშლილია. ინტერესთა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ქმნის პირობებს საბჭოთა რესპუბლიკების გამაგრებისა. როგორადაც არ უნდა დასრულდეს გენუას კონფერენცია, საერთო ტენდენციებს იგი არსებითად ვერ შესცვლის და ამ ტენდენციათა ანარეკლია უკვე ის მწვავე მდგომარეობა, რომელშიაც დღეს იმყოფება განაწამები დიპლომატია.

ქართველ ხალხს ასეთ რთულ პირობებში დიდი სიფრთხილე მართებს. მან ათასჯერ უნდა გაზომოს თავისი ნაბიჯი, უნდა შეაფასოს ობიექტიურად ძალთა კოლიზია და უნდა ჰქონდეს სწორი ორიენტაცია თავისი ცხოვრების მიმართულების შესახებ.

ერთი წუთით არ უნდა გვავიწყდებოდეს თუ ვინა ვართ და რისი შემძლენი ვართ. ჩვენი საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც ეროვნული ენერგია, ისე ჩვენი სტრატეგიულ-ეკონომიური პირობები.

ჩვენ ვერ ვეტყვით ქართველ ხალხს, რომ მან „არც იქეთ არც აქეთი" პოლიტიკა აწარმოოს და „ხმალი ქარქაშში" ეჭიროს მზად. ჩვენი ფიზიკური ენერგია უდრის მომპინვეობას მოითხოვს და დიდი კომპრომისებიც დასაშვებია, როდესაც გადარჩენის საკითხი იმდის.

არავისთვის ახალი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს საბჭოთა რუსეთი. ნაშთები რუსული იმპერიალიზმის კვლავ საგრძნობლად დაეპატრონა ჩვენი ცხოვრების პირობებს, რომელიც იწვევს ეროვნულ გრძნობათა გაღიზიანებას. რა თქმა უნდა ამის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა გვმართებს. ეროვნულმა კულტურამ უნდა გაიმაგროს ხერხემალი, რომლის შემდეგ შეუძლებელი იქნება რუსული კულტურის შემოწოლის სიმწვავე. აგრეთვე აღნიშნული უნდა იქნეს ის დადებითი შედეგებიც, რომელიც ამ ბრძოლების პროცესში შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენ საბჭოთა ქვეყნებთან მჭიდრო კავშირით.

ამერიკის განმანთავისუფლებელნი გიორგი ვაშინგტონი და ბენიამენ ფრანკლინი, ფედერაციის საშუალებით აერთებდა ამერიკის ხალხს და მხოლოდ ამავე ფედერაციის ნიადაგზე შესაძლებელი გახდა ამერიკის აღორძინება. გერმანიაც ფედერაციის საშუალებით აღორძინდა. ასეთვე პირობების წყალობით მოხდა შვეიცარიის აყვავება. დღეს მართალია შეუძლებელია სრული რენესანსის ოცნება, როდესაც ცეცხლითა და მახვილით განადგურდა საუკუნოებით შექმნილი კულტურა, მაგრამ ეროვნული ენერგიის შენარჩუნებისათვის დღეს სხვა გზა არ არის—გარდა საბჭოთა ქვეყნებთან მტკიცე კავშირისა.

გენუას კონფერენციის საერთო ფიზიონომია უკვე ნათელია. ნათელია აგრეთვე ის კონიუქტურა, რომელიც შექმნის პროცესს განიცდის და რომელიც საქართველოს საკითხს ღიდხნობით არსებულ მდგომარეობაში სტოვებს. ყოველივე ეს მოითხოვს საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკის ხელ-ახალ გადაფასებას.

ამ მხრივ ახალი პერიოდი უნდა დაიწყოს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ნათლად და აშკარად უნდა გათვალისწინებული იქნეს ის კონკრეტი პირობები, რომელშიაც გვიხდება დღეს ცხოვრება და მოქმედება ისტორიის მიერ განაწამებ ლეგენდარ კოლხიდას. ჩვენი პოლიტიკური ფორმულა უმთავრესად გადარჩენის საფუძველზე უნდა იქნეს აღმოცენებული, ხოლო ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილი იქნება რევოლუციის საბოლოო გამარჯვებით.

ქართველმა ხალხმა თავი გაანებოს უმოქმედო ლოდინს, უნდა დარწმუნდეს, რომ არავინ არ მოგვიტანს თავისუფლებას, თუ საკუთარი ხელებით არ გამოვჭედეთ ბედი ჩვენი ეროვნული არსებობისა, ეროვნული კულტურისა.

კულტურული ერი ამ კრიტიკულ ეპოქაშიაც გადიტანს, ისტორიის ნებით მოვლინებულ ექსპერიმენტს თუ, კი ფხიზლად და მედგრად დადგება თავის სადარაჯოზე. ეს იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიები თავიანთ პარტიულ დროშას დაზრიან ეროვნული დროშის წინაშე და არავის უფლებას არ მისცემენ ქართველი ხალხის თავისუფლების შევიწროებისა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ამიერიდან რუსეთი აღარ არის ჩვენი ბატონ-პატრონი იგი არ შეიძლება იყოს ჩვენი მბრძანებელიც, საქართველო ახალ პერიოდში სცხოვრობს და ამ ახალი პერიოდის სპეციფიური თვისებაა, რომ ის გაიმარჯვებს, ვინც შესძლებს ბრძოლის მეთოდთა შერჩევას, მდგომარეობის სწორედ შეფასებას, მომ ვლის ნიუანსების სწორად დასახვას და მედგარ ბრძოლას.

ამ ბრძოლაში არ უნდა დავივიწყოთ დიდი მოვალეობა, რომელსაც გვაკისრებს მოვალეობა ერისა და ხალხის წინაშე.

## გენუას კონფერენციის გარშემო

### რუსეთის პრობლემა

**რუსეთის დელეგაციის განცხადება.**

ბერლინი, 10 მაისი. რუსეთის დელეგაციამ სტეფანის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მას სრულებით არა აქვს განზრახვა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, რითაც წინასწარ იქნება გადაწყვეტილი კონფერენციის შედეგები. რაიცა შეეხება ეგრედ წოდებულ „რუსეთის საკითხ", დელეგატების სიტყვით, მას მოკავშირენი იმგვარად უყურებდნენ, რომ მათ სურდათ რუსეთს, ყოველ პირობის გარეშე მიეღო, მოკავშირეთა მემორანდუმი, მაგრამ იგი რუსეთისათვის აღმოჩნდა სავსებით მიუღებელი. რუსეთის დელეგაცია მოვიდა გენუაში შემარიგებელი განზრახვებით და მთელ თავის ტაქტიკას იგი აშენებდა ერთა თანასწორობის პრინციპზე.

**გამოურკვევლობა გრძელდება.**

ნაუენი. 10 მაისი. ყოველი დელეგაციის მეთაური სცდილობს კრიზისი სასურველად იქნეს დამთავრებული. ლოიდ ჯორჯი აცხადებს: „ჩვენ უფრო მეტი და სერიოზული დაბრკოლებანი გადავლახეთ, ვინემ ამ ჟამად არსებული. ჩვენ ამ კრიზისსაც გადავიტანთ". ლოიდ ჯორჯმა გადასწყვიტა მოიცადოს რუსეთის საკითხში საბოლოო შედეგის გამოსარკვევად.

**რუსეთის დელეგაციის აზრი.**

ნაუენი. 10 მაისი. რუსეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ კონფერენცია ჯერ არ არის დამთავრებული. საერთო აზრი, რომელსაც ადასტურებს გაზეთი „დეილი ქრონიკლ"-ი, ისეთია, რომ ყველასათვის აშკარა შეიქნა კონფერენციის დროებით შეწყვეტის აუცილებლობა.

**გზა შეთანხმებისაკენ.**

ბერლინი. 10 მაისი. გერმანული იქნება გზები შეთანხმებისათვის გაზეთები დაწვრილებით იხილავენ საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობაში ცვლილების მოხდენას.

**საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებ.**

ნაუენი. 10 მაისი. კონფერენციის წრეებში იხილავენ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხს. აღნიშნავენ, რომ ინგლისი პრინციპიალურად თანახმა იყო იცნო საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ კონფერენციის მოწვევამდის. იტალიაც მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა.

**შუამავლება.**

ბერლინი. 10 მაისი. ლოიდ ჯორჯს ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა ვირტთან რუსეთის საკითხის შესახებ. ფიქრობენ, რომ გერმანიის ჩარევის წყალობით, რუსეთის პასუხი მოკავშირეთა მემორანდუმზე, შემარიგებელი ტონით იქნება დაწერილი. კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტამ, აგრეთვე იკისრა შუამავლობა საბჭოთა რუსეთისა და ანტანტის დელეგატების შორის.

ნაუენი. 9 მაისი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, კონფერენციის წრეებში, ძალიან სასურველად სცნობენ იტალიის დელეგაციის მუშაობის მსვლელობას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გამონახულ იქნეს ისეთი გზები, რომელიც ხელს შეუწყობდა კრიზისის სასურველად დამთავრებას, რათა ამით შესაძლებელი გახდეს გადალახოს კონფერენციამ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც მას დღეს ხდება.

**მოუთმენლად ელიან.**

გენუა. 10 მაისი. ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს, რომ კონფერენციის ბედი დამოკიდებულია რუსეთის პასუხზე, რომელიც მოუთმენლად მოელიან.

**შანცერის ახალი ფორმულა.**

გენუა. 10 მაისი. მოსული ცნობებიდან ჩანს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა შეიმუშავა ახალი იურიდიული ფორმულა მემორანდუმის იმ მუხლისათვის, რომელიც ეხება კერძო საკუთრების საკითხს და რომელიც, როგორც ვიცით, ყველაზე მეტს აზრთა სხვა და სხვაობას იწვევს. შანცერის ახალი ფორმულის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფოს პრინციპი, საკუთრების ნაციონალიზაციისა იმ გვარად უნდა დარჩეს ცნობილი, რომ ყოფილ მესაკუთრეთ უზრუნველყოფილ ექნესთ უფლება მათი საკუთრებით სარგებლობისა. შანცერის ფორმულის მიზანია გამონახოს საშუალო გზა მოწინააღმდეგე ტეზისებს შორის. იტალიის დელეგაციის წრეებში ფიქრობენ, რომ შანცერის ლონისძიებანი მიმართულია არა მარტო კონფერენციის, დასახსნელად მისი ჩაშლის წინაშე, არამედ იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს იტალიის მთავრობის პოლიტიკის გამარჯვება, რომელსაც შემდეგი მიზნები აქვს დასახული: 1. ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდება, 2) ეკონომიური აღორძინება, 3) საერთაშორისო ურთიერთობის აღდგენა. შანცერის სახელმძღვანელო იდეა ნათლად ხასიათდება იმ შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ექნება კონფერენციას ევროპის სახელმწიფოთა მომავლისათვის. თუ კონფერენცია დასრულდა რუსეთთან კოლექტიური შეთანხმებით, მაშინ ანტანტა კონფერენციიდან გამოვა უფრო განმტკიცებული პრესტიჟით. ხოლო, პირიქით, თუ ეს შეთანხმება არ მოხერხდა, ის წინააღმდეგობანი, რომელიც დღეს არსებობს სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის რუსეთის საკითხის შესახებ, უფრო გაღრმავდება და მიგვიყვანენ ძლიერ სერიოზულ დაბრკოლებათამდის, რაც საჭიროა ეხლავ თავიდან ავიცილოთ. ამიტომ შანცერის მოქმედება, არა მარტო ჰუმანიტარული და იდეალისტურია, არამედ სავსებით პრაქტიკული. იტალიის დელეგაცია ნამდვილ რეალურ საქმეს ემსახურება, რომელიც გათვალისწინებულია მომავლის შედეგებით.

**პუანკარე განმარტებას იძლევა.**

ბორდო. 10 მაისი. პუანკარემ წერილით მიმართა პრეზიდენტ გარდინგს, სადაც იგი დაწვრილებით განმარტებას იძლევა საფრანგეთის იმ პოზიციის შესახებ, რომელიც მან დაიკავა რუსეთში კერძო საკუთრების დაბრუნების საკითხში.

— ლონდონის გაზეთები მოწინავე წერილებს უძღვნიან კერძო საკუთრების საკითხს. თითქმის ყველა გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთში, ყოფილ მესაკუთრეთათვის, ქონების დაბრუნების საკითხს მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ. მიუხედავად ამისა, ლონდონის გაზეთების გენუელ კორესპონდენტების საერთო აზრი ისეთია, რომ ამ საკითხში რაიმე გადაწყვეტილება უეჭველად იქნება მიღებული.

**კრედიტები რუსეთისათვის.**

პარიზი. გაზეთ „მატენ"-ის ცნობით რუსეთის დელეგატები მოითხოვენ გადასცენ რუსეთს 430 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტი.

**კონფერენციის გადადების შესახებ.**

ლონდონი გაზეთი „დეილი მეილი" გადმოგვცემს, რომ კონფერენციის წრეებში იხილავენ კონფერენციის მუშაობის 6 თვით გადადების საკითხს, რათა რუსეთს საშვალება მიეცეს დაერწმუნოს შექმნილ მდგომარეობაში. ამ წინადადებას წამოაყენებენ მაშინ, თუ „ბოლშევიკები დაჟინებით განაგრძობენ თავიანთ შეუძლებელ მოთხოვნილებათა მიღებას".

**პაპა პიი მე XI სურვილები**

გენუა 19 მაისი, იმ სახელმწიფოთა დელეგატებმა, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ ვატიკანთან, მიიღეს ტექსტი პაპის იმ მოწოდებისა, რომელიც მან გაუგზავნა კარდინალ გასპარის გენუას კონფერენციის შესახებ. ამ წერილთან დელეგაციებს გადაეცათ აგრეთვე შემდეგი მემორანდუმი: „ბარათა წმინდა მამისაგან 29 აპრილის თარიღით, სტატს-სეკრეტარის სახელზე, რომელსაც ღრმა რწმუნება ჰქონდა გადაეცა იგი იმ სახელმწიფოთა დელეგაციებისათვის, რომელთაც ურთიერთობა აქვს 50 ტახტთან,—გენუას კონფერენციის ხელსაყრელ შედეგების სურვილების შესახებ. ეს სურვილები განსაკუთრებით შეეხება რუსის ხალხს. 50 ტახტი სარგებლობს იმ შემთხვევით, რომ კონფერენციას ესწრება ის სახელმწიფონი, რომელთანაც მას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მათთვის მემორანდუმის გადასაცემად. მემორანდუმში აღნიშნულია სასურველობა, მიექცეს სათანადო ყურადღება დღევანდელ ისტორიულ მომენტის იმ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის, კულტურისან სახელმწიფოთა ოჯახში, დაბრუნებასთან. წმ. ტახტს სურს, რომ რელიგიის ინტერესები, რომელიც ყოველგვარ ცივილიზაციის საფუძველია, დაცული იქნეს რუსეთშიც. ამიტომ წმ. ტახტი მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, რომელიც მიღწეულ იქნება გენუაში მყოფ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის, შეტანილ იქნეს, სულ ერთია როგორ ფორმაში, მაგრამ სავსებით გარკვეულად შემდეგი დამატებითი მუხლები: 1. რუსეთში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სინდისის სრული თავისუფლება როგორც რუსის მოქალაქეთათვის, ისე უცხოელებისათვის 2. უზრუნველ ყოფილ იქნეს აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი ასრულება რელიგიისა და კულტის. ეს უკანასკნელი დამატებითი მუხლი გამოწვეულია იმ განცხადებით, რომელიც გააკეთა გენუაში რუსეთის დელეგატმა ჩიჩერინმა. პაპის წერილი და მემორანდუმი შედგენილია ფრანგულ ენაზე, იგი გადაეცა კონფერენციის თავმჯდომარეს. კონფერენციის პრეზიდიუმთან ახლო წრეებში ამტკიცებენ, რომ ვატიკანი მომავალში არავითარი ახალ დამატებითი მუხლები არ წარმოადგენს.

**ჭ ო რ ი.**

ბერლინი. 10 მაისი. ლლოიდ-ჯორჯი ცხარედ უარყოფს გაზეთ „ტაიმს"-ის ცნობას. თითქოს მას ბარტუსთან ბაასის დროს ეწინასწარმეტყველებინოს ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულებაში განხეთქილების ჩამოგდება. ამ ცნობას ინგლისის პრემიერი უწოდებს „წმინდა წყლის ჭორს". ამგვარივე განცხადება გააკეთა ჩემბერლენმა თემთა პალატაში; მან განაცხადა, რომ „ტაიმსი"-ს ცნობა მოსწრებული და წინად მოფიქრებული ჭორია. ყოველ შემთხვევაში ჩემბერლენის აზრით, ეს ჭორი გამოგონებულია ცუდი განზრახვებით.

ბერლინი 10 მაისი. ბარტუმ მიმართა ლლოიდ-ჯორჯს ბარათით, სადაც იგი იმედს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება არ იქნება შეცვლილი.

### ლლოიდ ჯორჯის მდგომარეობა.

**ნაუენი, 10 მაისი.** ლლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ გაიმართა დიდი კამპანია იმ მიზნით, რომ იგი აიძულონ გადადგეს. ამ კამპანიას მეთაურობს ნორდკლიფი. მაგრამ, მიუხედავად ოპოზიციის გაძლიერებისა, ლლოიდ ჯორჯის მდგომარეობა მაინც იმდენად საკმაოდ ძლიერია, რომ მას არ ეშინია კონსერვატორების საწინააღმდეგო გამოსვლებისა. გენუის კონფერენციის წრეებში თან და თან მტკიცდება ის აზრი, რომ ლლოიდ-ჯორჯის მდგომარეობა უკვე განმტკიცებულია, მთელი რიგ იმ კრიზისებისა და მერყეობის შემდეგ, რომელიც განიცადა კონფერენციამ, ლლოიდ ჯორჯს „პლიუსად“ სწორედ იმ გარემოებას უთვლიან, რომ მან შეაცვლევინა მცირე ანტანტას პოზიცია, რომელიც ეხლა დათმობაზე მიდის რუსეთის ზევრ საკითხებში. კომპრომისი სხვა სახელმწიფოებთან შესაძლებელია საგარანტიო საერთო — ევროპიული ხელშეკრულებით, რომელსაც ამ ჟამად ამზადებს ლლოიდ-ჯორჯი.

### იაპონიის დელეგაციის განცხადება.

**გენუა, 10 მაისი.** იაპონიის დელეგაციამ გენუაში გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიაც იგი უპასუხებს რა რუსეთის ნოტაზე ციმბირის ოკუპაციის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს ოკუპაცია საჭირო იყო ჩეხო-სლოვაკიის ჯარების ევაკუაციის უზრუნველსაყოფად და იაპონელ მოქალაქეთა დასაცავად.

### ლლოიდ-ჯორჯი და ფაქტა.

**გენუა, 10 მაისი.** 9 მაისს, ლლოიდ-ჯორჯმა, კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტასა და იტალიის დელეგაციის პატივსაცემლად, გამართა საუზმე.

### ამერიკა და რუსეთის საკითხი.

**ბორდო 9 მაისი.** გაზეთ „პტი პარიზიენის“ ცნობით, ამერიკა მზად არის მონაწილეობა მიიღოს რუსეთის საკითხის კომისიაში, რომელსაც ალბად დაარსებენ კონფერენციის დამთავრების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთთან შეთანხმება მოხერხდა.

### კერძო საკუთრების საკითხი.

**ლიფფილდი 9 მაისი.** ლოიდ ჯორჯი, რომელიც ცდილობს დაითანხმოს საფრანგეთი და ბელგია შეუერთდნენ საერთო მემორანდუმს, — აღნიშნავს რომ მემორანდუმის მეშვიდე მუხლი, რომელიც ეხება უცხოელთა კერძო საკუთრების უფლებას რუსეთში, შემუშავებულ იქნა ბრიტანეთისა და საფრანგეთ-ბელგიის წინადადებათა კომპრომისების შემდეგ. ამ რიგად საფრანგეთისა და ბელგიის ექსპერტებმა არა თუ იცოდნენ, არამედ ინგლისელებთან ერთად შეიმუშავეს ის მუხლი, რომლის შესახებაც შემდეგში... (დასასრული არ არის მიღებული)

**ჰანნოვერი. 9 მაისი.** ლლოიდ-ჯორჯს განზრახვა აქვს კონფერენციის შემდეგი მუშაობის გასაადვილებლად სრულებით ამოიღოს მემორანდუმიდან მეშვიდე მუხლი იმ შენიშვნის თან დართვით, რომლითაც უცხოელთა კერძო საკუთრების საკითხი რუსეთში უნდა გადაწყდეს განსაკუთრებული მოლაპარაკებით საბჭოთა მთავრობისა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის.

რუსეთის დელეგაციის წევრები არ ფიქრობენ, რომ არსებულ პირობებში კონფერენციის მუშაობა იქნეს შეწყვეტილი.

## საბჭოთა რუსეთში

### ევროპის დახმარება

**მოსკოვი, 11 მაისი.** სიმფეროპოლში ჩამოვიდა კომინტერნის საერთაშორისო დახმარების კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან გერმანელი კომუნისტები. კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საზღვარ-გარეთელი ამხანაგები — მუშები მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ რუსეთის მუშათა კლასს და იზიარებენ მის ბრძოლას სოციალიზმის დასამყარებლად. მათ არ შეეძლოთ არ გამოხმაურებოდნენ რუსეთის მუშათა კლასის მოწოდებას დახმარების შესახებ. ყველგან იკრიბებოდა შემოწირულება და ხდებოდა გადარიცხვა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ. უკვე დაარსებულია რამდენიმე მილიონიანი დახმარების ფონდი. ყიდულობენ სურსათ-სანოვაგეს, თესლეულობას, მედიკამენტებს, უპირველესი მოთხოვნილებისა და ფართე მოხმარების საგნებს და საწარმოო იარაღებს. რამდენიმე გემი უკვე გაიგზავნა ჩრდილოეთის ნავთსადგურებში. რამდენიმე სამარშრუტო მატარებელი ვოლგის მხარეში.

საზღვარ-გარეთელი ამხანაგები მოხარულნი არიან თავისი მცირეოდენი დახმარებით გადაუხადონ თავიანთი ვალი რუსეთის პროლეტარიატს, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში მაღლა უჭირავს რევოლიუციონური წითელი დროშა.

პასტერის სახელობის ინსტიტუტი ყოველთვიურად გზავნის რიგებში რუსეთისათვის ათ ტონზე მეტ მედიკამენტებს დამშეულთა დასახმარებლად. ამ უახლოეს ხანაში ინსტიტუტი გზავნის რუსეთში 5 მილ. ფლაკონს დიფტერიტის საწინააღმდეგო სითხისას, 1 მილ. ფლაკონ ყვავილის შრატისას, 6 მილ. ფლაკონ ტიფის საწინააღმდეგო სითხისას და ორ მილ. ფლაკონს ხოლერის საწინააღმდეგო აცრილ შრატისას.

### სამეურნეო ფრონტზე

**მოსკოვი. 11 მაისი.** კომინტერნის წევრებმა, რომელნიც ჩავიდნენ ნიჟნი-ნოვგოროდში, ადგილობრივ მუშაობის გასაცნობად ინახულეს ბალახანა, სადაც დაათვალიერეს ის სამუშაო, რომელიც სწარმოებს ახალი სარაიონო ელექტრონის სადგურის მოსაწყობად. მუშებთან მხურვალე შეხვედრის შემდეგ, სტუმრებმა განაცხადეს მათ, რომ ისინი გადასცემენ საზღვარ-გარეთის მუშებს იმ საგმირო მოქმედებას, რომელსაც აწარმოებს რუსეთის პროლეტარიატი სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში და აგრეთვე აღუთქვეს მათ, რომ ისინი შეეცდებიან თავიანთი ამხანაგების მუშაობა მიმართონ რუსეთის მშენებლობისა და დამშეულთა დახმარებისაკენ.

### საქონელი საზღვარ-გარეთიდან.

**მოსკოვი 10 მაისი.** ოდესაში მოვიდა პირველი გემი ტრიესტინის ლლოიდისა, რომელმაც მოიტანა 1200 ტონი სხვა და სხვა საქონლისა. გემი გაბრუნდა 200 ტონი საქონლით.

— ნოვოროსიისკში 26 აპრილს მოვიდა გემი „სმირნა“, რომელმაც მოიტანა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სახელზე 2,886 ტონი სიმინდი. მოვიდა აგრეთვე ნორვეგიის გემი „ვენდექვენი“, 4,000 ტონი ქერით.

— ნოვოროსიისკის ნავთსადგურში 28 აპრილიდან 30 აპრილამდე გადმოტვირთულ იქნა 452 ვაგონი სიმინდი, 10 ვაგონი ფქვილი, 4 ვაგონი მედიკამენტები, 137 ვაგონი ქერი და 20 ვაგონი ფქვილი.

## უცხოეთი

### ამერიკა სპარსეთში.

მსხვილი ამერიკელი საზოგადოების „სტანდარტის“ მიერ ნავთის მრეწველობის კონცესიების ჩრდილოეთ სპარსეთში აღებასთან დაკავშირებით, უცხოეთის პრესა შეუდგა საკითხის პრაქტიკულად განხილვის შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიმოსვლა ამერიკელებისათვის ამ დაშორებულ სპარსეთის ჩრდილო პროვინციებში. ნავთიანი მიწები და წყაროები სამხრეთ სპარსეთში იმყოფება ანგლო-სპარსულ საზოგადოების ექსპლოატაციაში. ამოღების განვითარების და ნავთის გადასხმის შესახებ საინტერესო ფაქტები იყო წარმოდგენილი აქციონერთა საერთო კრებაზე.

როგორც ირკვევა, № 7 რაიონის ნავთის ჭას ათი წლის განმავლობაში მოუცია 250 მილიონი ფ. ნედლი მსუბუქი ნავთი და ყოველდღიურად დღესაც იძლევა 123.000 ფ. ეს ყველაზე უფრო ნაყოფიერი ჭა არის მსოფლიოში.

აბადანის ქარხანა ყველაზე დიდია მსოფლიოში და შეიცავს $4\frac{1}{2}$ კვად. ვერსტს.

**ბორდო. 8 მაისი.** სპარსეთის მეჯლისმა მოიწონა მთავრობის გარდაწყვეტილობა შესახებ ამერიკელების მოწვევისა როგორც ფინანსიურ მრჩეველთა. სპარსეთის ელჩს ეუწყა ვაშინგტონში სთხოვოს შეერთებულ შტატების მთავრობას დაასახელონ სათანადო პირნი.

### საკონტრიბუციო პრობლემა.

**ბერლინი, 10 მაისი.** 9 მაის გაიმართა გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების თათბირი. მოსმენილ იქნა მოხსენება ვიცე-კანცლერ ბაუერისა და ფინანსთა მინისტრის გერმესისა, კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე კონტრიბუციის საკითხი.

**ნაუენი, 10 მაისი.** ჰავასის სააგენტოს ცნობით, ლლოიდ-ჯორჯმა აცნობა გერმანიის დელეგაციას, რომ იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთი 31 მაისამდის უარყოფს საკონტრიბუციო კომისიის დადგენილებას, გერმანიას შეუძლია უშუალო მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისთან.

### მუსტაფა ქემალ ფაშის უფლებები.

**ბორდო, 10 მაისი.** ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრილობამ განუგრძო მუსტაფა-ქემალ-ფაშას რწმუნებულება და უფლებები ჯარების მთავარ-სარდლობისა და სახელმწიფოს მეთაურობა, კიდევ სამი თვით.

### დამოუკიდებელი კროაცია.

**ბორდო, 10 მაისი.** გაზეთ „ჟურნალ“-ი იტყობინება, ახალმა კროაციამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამორჩეულია დროებითი მთავრობა. მთავრობის [illegible] ამორჩეულია რადიჩი.

საქართველოს ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები

— **წილკნის სარწყავი არხი.** ამ დღეებში ქართლის სამხედრო გზის სადგურიდან ახლოს ს. წილკანში მოხდა ზეიმით გახსნა სარწყავ არხისა, რომელიც სიგრძით 10 ვერსია. სათავე ამ არხისა იმყოფება არაგვიდან და რწყავს მიწებს მასაქცელის, წილკანისას და სხვათა 3000 დესიატინამდე საერთო მოედანს. ამ არხის გაყვანა დაიწყო მეკვირეებმა და დაასრულა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, როგორც ნატურალური ბეგარა. მუშაობა სწარმოებდა ინჟინერ ვ. ტატუგის ზედამხედველობის ქვეშ.

— **პარტახტიანი სახადი.** 16 აპრილიდან 1 მაისს სენაკის მაზრაში აღნიშნულია 8 შემთხვევა პარტახტ სახადისა. ამავე ხნით 22 აპრილიდან 1 მაისამდე ავად გახდა 8 კაცი გორის მაზრაში, 24 ქუთაისის მაზრაში.

— **ხორბალი ამიერკავკასიისთვის.** ნოვოროსიის პორტში ჩამოვიდა ამერიკული გემი სთეისი სიმინდის ტვირთით. ჩამოტანილია 120 000 ფუთი. ამიერკავკასიისათვის ნახევარი ამ სიმინდისა უკვე გაგზავნილია ბაქოში. მეორე ნახევარი გადაცემული საქართველოს საჭიროებისათვის. ამ დღეებში საქართველოში ჩამოსატანი 60,000 ფ. სიმინდისაგანა საზღვაო ტრანსპორტი ნოვოროსიიში აგზავნის „შერონ“-ი ბარჟით.

— **ტფილისის ბირჟა.** უცხო ვალიუტის კურსი მაისის 9—10-ს (ათას მანეთობით):

| | |
|---|---|
| ოსმალური ლირა ოქრო | 850 |
| იტალიის ლირა | 13 |
| სტერლინგი | 975 |
| ამერიკული დოლარი—ჩეკი | 255 |

— **ფოთი.** ამ ჟამათ ფოთის ნავთსადგურში სდგას შემდეგი უცხოელი გემები: დანიელი „დანებროხი“ უტვირთოთ ჩამოსული 13 აპრილს, ბერძნული „არხანგელოსი“ და „პარაგვუტისი“, რომლებმაც ჩამოიტანეს რუმინიის სიმინდი. პირველმა 21 აპრილს 3500 ტონი და მეორემ 22 აპრილს 17000 ტონი. ინგლისური გემი „ბრონდვილი“ უტვირთოთ ჩამოსული 24 აპრ. და ნორვეგიის „მოლიკი“ უტვირთოთ 8 მაის ჩამოსული.

— **ბაქო.** 13 მაისს იხსნება ამიერკავკასიის ცენტრალურ კოოპერა-

## პოლიტიკა ირაკლი მეორისა *)

**ა) საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ნიშნობრივი თვისება, რომელმაც განმზადა რუსეთთან ხელ შეკრულების დადების ნიადაგი.**

როცა წინა-აზიაში აღორძინდებოდა და გაძლიერდებოდა რომელიმე სახელმწიფო, მაშინ საქართველო შევიწროვებასა და დამონებას განიცდიდა. სწორედ ასე მოხდა მაშინ, როცა სელჯუკთა მონარქია ძლიერი იყო და იგი ფართოვდებოდა მცირე აზიაში. ასეთი ვითარება იყო დამყარებული ალპარსლანისა ანუ არფასლანისა და მალიქ შაჰის დროს, მე-11 საუკუნეში. ასევე იყო გამწვავებული საქართველოს მდგომარეობა მე-13—14 საუკუნეებში, როცა სპარსეთი მონღოლებმა დაიპყრეს და იქ გაბატონდნენ. მაგრამ, როცა მცირე აზიაში, დიდი და ძლიერი სახელმწიფო დაიშლება და დაირღვევა, მაშინ საქართველოც თავისუფალი გახდება ხოლმე, იმის ნაწილები გაერთიანებას იწყებს და მთლად საქართველოც ძლიერებასა და ბრწყინვალებას განიცდის. ასეთი მდგომარეობა შეიქნა მე 12 საუკუნეში, როცა მე 11 საუკუნის დასასრულს, მალიქ შაჰის შემდეგ, სელჯუკთა სახელმწიფო დასუსტდა და დაიშალა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ საქართველო იმ ჟამად გაერთიანდა, გაძლიერდა და თამარის ბრწყინვალე ეპოქა განიცადა. ამგვარივე ვითარება განმეორდა მაშინაც, როცა მონღოლთა ძლიერება დასუსტდა, ჯამესიდის დროს კი დაშლა და დაქუცმაცება დაიწყო. ამას მოჰყვა გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობა და საქართველოს წარჩინებაც. მაგრამ ეს ბრწყინვალება მალე მიაბნია თემურლენგის ურდოების ძალთა პირობამ.

აი, ასე დამოკიდებულია საქართველოს მდგომარეობა და ბედი იმაზე, თუ რას განიცდის მცირე აზია, ანატოლია ანუ წოდებული წინა—აზია. ეს არის თითქმის გარდაუვალი და აუცილებელი კანონი საქართველოს ისტორიული ცხოვრებისა და საქართველოც ყოველ საუკუნეში განიცდიდა ამ კანონის ძლიერებას. მაშასადამე, ცხადია, რომ ამ კანონის ძლიერმოსილება მე-18 საუკუნეში უცვლელი იქნებოდა. ამას ჩვენ ქვევით ვნახავთ მთელის თავისი საშინელი სიცხადით. ახლა კი მეტი დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვა, რომ ამავე კანონის მოუცილებლობის ცხადი შედეგია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაც. დღეს ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს და ამ დამოუკიდებლობით ვნებივრობთ. გვგონია კი, რომ ეს დამოუკიდებლობა დემოკრატობამ და სოციალისტობამ მოგვანიჭა. ნამდვილად კი ასე როდია. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს მცირე აზია დაშლილია, იქ ძლიერი პატრონს ვერ ცნობილობს, სამთავროები გათელილი და გაცამტვერებულია, სპარსეთი კი, ხომ დიდი ხანია, არავითარ ძალას წარმოადგენს. მცირე აზიის ამ არევ-დარევისა და საქმეთა აწეწვის დროს ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. ეს ბუნებრივი მოვლენა და მოუცილებელიც იყო. ასე იყო ყოველთვის წინადაც და ასეც უნდა ყოფილიყო ახლაც. ეს საქართველოს ცხოვრების „ისტორიული იმპერატივია“ და არა ჩვენი საკუთარი ნება და სურვილი.

ამავე ძირითადი კანონის შედეგია უმთავრესათ ის გარემოებაც, რომ ქართველი ერის თემები და საქართველოს პროვინციები ძლიერ მიდრეკილებას იჩენდნენ განცალკევებისა და დამოუკიდებლობისადმი. ეს კი ძალზე აფერხებდა და ხელს უშლიდა, რომ საქართველო სრულიად გაერთიანებულიყო, ერთი სახელმწიფოებრივი მტკიცე ფორმა ჩამოყალიბებია, მთელი საქართველოც ამ ფორმის ქვეშ მოემწყვდია და ცხოვრების პირობანი გაერთგვარებია. მაშინ მაინც, როცა საქართველო აღარ განიცდიდა დაბეჩავებას მცირე აზიის მიერ, ამ უკანასკნელის სისუსტისა და დაქუცმაცების გამო. ამიტომაც საქართველოს გაერთიანება, როცა კი ეს მოსახერხებელი იყო, ხანგრძლივი არ იყო. ამიტომაც ამ გაერთიანებას სიმტკიცისა და მუდმივი მოვლენის ხასიათი არ ჰქონდა.

მართალია, რომ ამ განცალკევებას ხელს უწყობდა საქართველოს ადგილმდებარეობა, ტოპოგრაფია, რადგან იგი დაყოფილი იყო ცალკე ხევებათ. *) ამიტომ ამ ხევში დაბინავებული თემის უფროსს ადვილ საქმეთ მიაჩნდა, მეფეს არ დამორჩილებოდა. ეს ურჩობა, ეს განდგომილობა თავიდანვე თანსდევს ჩვენს ისტორიულ ცხოვრებას. **)

ასეთი ურჩი და განდგომილი იყო ლიპარიტ ორბელიანი, რომელიც ებრძოდა ბაგრატ მე-4-ს. ასეთივე იყო რაჭის ერისთავი როსტომი, რომელიც ებრძოდა იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს დიდს. ასეთივე იყო გივი ამილახვარი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა თეიმურაზსა და ირაკლის.

მაგრამ სავალალო აქ უმთავრესად ის კი არ არის, რომ მეფეს ეურჩება ესა თუ ის ქვეშევრდომი. სავალალო და საშიში სწორედ აქ ის არის, რომ ასეთი ურჩი და განდგომილი ყოველთვის პოულობს დახმარებასა და ურჩობის საშუალებას გარეშე ძალისაგან, იმ ძალისაგან, იმ ორგანიზაციისაგან, რომელიც ჩვენი ქვეყნის კარმიდამოზეა მუდამ მომდგარი და რომელიც დაინტერესებულია, რომ ჩვენი ქვეყანა არ გაერთიანდეს, არ გაძლიერდეს, არამედ ეს ქვეყანა ყოველთვის დაქუცმაცებული იყოს, სუსტი და ერთმანეთში გაუტანელი, მუდამ დაუწყნარებელი და აქოთქოთებული იყოს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. ასეთ ურჩს, ასეთ განდგომილს დახმარებას უწევს, აქეზებს ან სპარსეთი, ან ოსმალეთი, ან ამ უკანასკნელის გზირი—ახალციხის ფაშა, ან ორივესი ყურ-მოჭრილი ყმები—მთიელები, ოსები და ლეკები. აი, ამათ დახმარებით აწიოკებდნენ ხოლმე განდგომილნი და ამათ დახმარებით აწიოკებდნენ მშობელ ქვეყანას, აოხრებდნენ მას.

მე 18 საუკუნეში ლეკების თარეში ირაკლის ხელს უცარავდა, სამხრეთისაკენ თამამათ და გაბედულათ ემოქმედნა. ახალციხისაკენ, რომ მიაწვებოდა და ახალციხის ფაშას შეავიწროებდა, ამ დროს ლეკები, რომელიმე განდგომილის მიერ გამოწვეულნი, სამეფოს ჩრდილოეთით აწიოკებდნენ და არბევდნენ: ზურგი დამშვიდებული და დაწყნარებული არ იყო. ამიტომ წინსვლა, ე. ი. სამხრეთისაკენ, ახალციხისა და ახალქალაქისაკენ გაბედული მოქმედება შეფერხებული იყო და ამიტომ ამ მხრით ბრძოლაც ვეღარ ხდებოდა. ვახტანგ მეექვსეს სპარსეთის წინააღმდეგ მიწერ-მოწერა აქვს. ამ გარემოებით ისარგებლებს კონსტანტინე მესამე და სპარსელების დახმარებას გამოითხოვს. სპარსეთიც კონსტანტინეს სიამოვნებით ეხმარება. რადგან ვახტანგი სპარსეთის მთავრობის თვალში მოღალატე და მეამბოხეა. კონსტანტინეს სპარსეთის მთავრობის დახმარებითა და გავლენით ლეკები მიეშველებიან, ტფილისს აიღებენ და თვით ტფილისს სამი დღე-ღამის განმავლობაში ულმობლად არბევენ და ძარცვავენ იმ პირობის ძალით, რომელი პირობაც მათ კონსტანტინემ დაუდვა.

---

*) ა) ეს წერილი არის გაგრძელება წერილისა: „ნ. მ. ბარათაშვილი და ირაკლი მეორე“, რომლის პირველი ოთხი თავი დაიბეჭდა ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა გამოცემა „კრებულში“ № 1. 1921 წ.

ავტორი.

ბ) წერილი დაწერილია 1920 წ.

რედ.

*) ასეთი გარემოების მნიშვნელობის შესახებ 1894 წ. აღნიშნული მაქვს შემდეგი სოციოლოგიური კანონი: „როცა ხალხი დაბინავებულია სწორსა და ვაკე ადგილებზე, მაშინ ამ ხალხის ერთად შემოკრება ადვილ საქმეს წარმოადგენს. მთაგორიანი ადგილები კი ხელს უშლის ხალხის პოლიტიკურად შედუღებას და აქ განკერძოებული ცხოვრება იჩენს თავს“. (იხილე ჩემი თხზულებანი გვ. 32).

**) საქართველოს ხევებად დაყოფას დიდი და ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ხანგრძლივობისათვის. მართალია, ხევებად ასე დაყოფა აფერხებდა გაერთიანებასა და გაერთგვარებას, მაგრამ ამასთანავე ეს დაყოფა ძალიან საიმედო და გამოსადეგი საფარი იყო, რომ გარეშე ძალას, საქართველოს ერთბაშად დასაპყრობლად მოხლვავებულს, შესძლებოდა, საქართველო ერთი მოქნევით დაეპყრო. საჭირო იყო რომ ამ ძალას ყოველი ახალი ბრძოლითა და იარაღით დაემორჩილებინა. ეს კი შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ამას დრო უნდოდა და, მაშინდელი პირობების მიხედვით, მეტი ფიზიკური ძალაც და ტეხნიკური საშუალებაც. მაშასადამე, ჩვენი სამშობლოს ხევებით დაყოფა გარეშე ძალას დაპყრობის საქმეში ხელს უცარავდა. ესევე გარემოება კი ამასთანავე ჩვენი ეროვნული ცხოვრების ნაღვერდალს აღვივებდა და არ აქრობდა, რადგან, როცა ერთ ხევში საქმე წაიგებოდა, მაშინ მეორე ხევში აზვირთდებოდა თავდაცვის ძლიერი ცეცხლი და [illegible] და ამ ხევშივე აღორძინდებოდა ჩვენი ცხოვრების ნიშნობლივი თვისებაც: მწერლობა საერო და საეკლესიო, გალობა და სიმღერა, ხუროთ-მოძღვრება და სხვა ამისთანა. მაშასადამე, იმ პირობებში, როცა საქართველოს გარს შემოხვეული ყავდა ძლიერი მტრები, რომელნიც მის დაპყრობასა და გადაგვარებას გამუდმებით ლამობდნენ, ძალიან სასარგებლო იყო ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობა, რომელიც საუკეთესო საშუალებათ შეიქნა, რომ ჩვენი ერი დღემდის პირისაგან არ აღგავა და არც გადაგვარდა.

...ტიული ორგანიზაციების მეორე ყრილობა. ყრილობა გაგრძელდება [illegible] დღეს, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი შესახებ ამიერკავკასიის მთლიან კოოპერატიულ ფრონტისა. მოელიან დელეგატებს ყველა კოოპერატიულ ცენტრიდან, მათ რიცხვში ცენტ. კავშირსაც.

— **საკურორტო მართველობა.** საკურორტო მართველობის მოსამსახურეთა შტატის შესავსებად, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის განყოფილებასთან შემდგარია სპეციალური კომისია. აღნიშნულ კომისიაში მრავალი თხოვნები შემოდის სამსახურის მსურველთა.

— **კოჯორი და მანგლისი.** კოჯორის და მანგლისის აგარაკის დათვალიერებლად, საჭირო შეკეთების ადგილობრივ გამოსარკვევად და რამდენიმე საკურორტო მართველობის საკითხის გადასაწყვეტლად, ტფილისიდან მიდის სპეციალური მედიკო-ტეხნიკური კომისია.

— **საწყობთა გადასახადი ნავთ-სადგურებში.** სახალხო საბჭოთა კომისრების მიერ დამტკიცებულია გადიდდეს საწყობთა გადასახადი ნავთ-სადგურებში 100 პროც. მოედნის კვადრატ. საჟენზე და საწყობზე ნავთ-სადგურის ტერიტორიაზე გამოთმეული უნდა იქნეს ორიდან ოცდაათ ოქროს მანეთამდე.

— **სახელმწიფო გემთა მიმოსვლა.** სახალხო კომისრების საბჭოს მიერ დამტკიცებულია პროექტი, რომ მოწყობილ იქნას სახელმწიფოებრივი გემთა მიმოსვლა შავი ზღვის სანაპიროებზე საქართველოს საზღვაო ტრანსპორტისათვის მონოპოლიის უფლების მიცემით. ამ რაიონებში ტვირთის გადატანისა სახელმწიფო გემთმიმოსვლაში შეუძლიათ შევიდნენ დაწესებულებანი და კერძო პირნი თავიანთი გემებით შერეულ საზოგადოების ორგანიზაციის პრინციპზე.

— **საქართველოს ნავთ-სადგურებში.** ბათომის ნავთ-სადგურში: 3 მაის ჩამოვიდა რუსის გემი „ილჩი“ ოდესიდან და ინგლისის „შეფილდი“ კონსტანტინეპოლიდან. 1030 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 914 მგზავრით და 1 ხომალდი.

4 მაის 5 ხომალდი 415 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და 5 მაისს ინგლისის გემი „ლედი ელეონორა“ და ფრანგული გემი „მარშალ ფოში“ კონსტანტინეპოლიდან 550 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 6 მგზავრით და 3 ხომალდით 82 ფ. სიმინდით. 3 მაის ნავთსადგურიდან გავიდა იტალიის გემი „რემო“ სამხრეთ სლავიის „დიმიტრი“ ორთავე კონსტანტინეპოლში 35 ტონაჟი სხვა და სხვა ტვირთით და 50 მგზავრით. 3 ხომალდი 1750 ფ. სხვა და სხვა ტვირთით 4 მაის ნავთ-სადგურიდან გავიდა ამერიკელი გემი „სოგიუსი“ კონსტანტინეპოლში 530 ტონაჟი ტვირთით და 4 ხომალდი 3150 ფ. სხვა და სხვა ტვირთით.

5 მაის ინგლისის გემი „Ébur“ და იტალიის „პერსია“ ორთავე კონსტანტინეპოლში სხვა და სხვა ტვირთით 30 ტონაჟი სხვა და სხვა ტვირთით და 20 მგზავრით. 5 მაის ღამის 12 საათზე ნავთსადგურში იდგა 6 გემი და 47 ხომალდი.

— **ფოთი.** 5 მაისს. ფოთის ნავთსადგურში ჩავიდა ოსმალეთის აფრა „პორტოხინი“ ანაკლიიდან, რომელმაც ჩამოიტანა 25 ფუთი თევზი

— 6 მაის ქართული გემი „ახენის წყალი“ სოხუმიდან 100 ფუთი სხვადა სხვა ტვირთით და 28 მგზავრით. 7 მაის რუსის გემი „წმ. ნიკოლოზი“ ბათომიდან. 30 ფუთი სხვადასხვა ტვირთით 8 მაის ნორვეგიის გემი „მოდიკ“ უტვირთოთ კონსტანტინეპოლიდან.

— ნავთსადგურიდან გავიდნენ 5 მაის: ოსმალეთის აფრა „პორტოხინი“ ბათომიდ 6 ანკლიაში უტვირთოთ, 11 მგზავრით. 9 მაის რუსის გემი „წმ. ნიკოლოზი“ ოჩამჩირეში 20 ფ. ტვირთით.

— **სოხუმის ნავთსადგურში** 3 მაის იდგა ოსმალეთის 4 გემი. სა[illegible] 8. სპ[illegible] 1.

— **ფასიანი წამლობის საკითხისათვის.** გარდა 50000 სამქიმო გადასახადისა,—საცხოვრებლად პირადობის მოწმების მიღებისათვის დანიშნულია 50,000 დღეში ქალაქის საავათმყოფოში საჭიროთ, და 20,000 მანეთი წილოწადში ქალაქის ამბულატორიაში ექიმის დარიგების მიღებისათვის და 20,000 თითოეული რეცეპტის №—სათვის.

ამ გადასახადის შესახებ მისმა ავტორმა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ექიმ გ. ს. ვაჩნაძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ძირითადი დებულება მედიცინისა არის—უფასობა არის არა თუ მარტო ჰუმანიური პრინციპი, რადგან ერთი ბედნიერება მეორეს უბედურებაზე არ უნდა იყოს აშენებული ე. ი. ავადმყოფობას, არამედ სწორეც არის ბედნიერი თვალსაზრისით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია ფინანსიური კრიზისის გამო და ქალაქის აღ. კომიტეტი სცვლის უფასოების პრინციპს სიაფის პრინციპზე.

## სამხატვრო ქრონიკა

— **ახალი ჟურნალი.** გამოვიდა და იყიდება საქ. ახალგ. კომკავშირის ცეკას ყოველთვიური ჟამცნ., საპოლიტ. და სალიტ. ჟურნ. „მომავალი“ № 4—5 შემდეგი შინაარსით: 1) რ. კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა. 2) სამი ინტერნაციონალის კონფერენცია. 3) ახალი ისტორიული დატ—ქ. გორდელაძე 4) „ორი გზა“—დ. გვაზავა. 5) ევოლიუცია და რევოლიუცია—დ. ბრონშიძე 6) საწარმოო ძალები და მათი როლი საზოგადოებაში—მ. კ 7) კაპიტალიზმის ევოლიუცია. 8) ახალგაზრდობის კომუნ. ინტერნაციონალი. 9) პარიზის კომუნა კ. მარქსი. 10) ნაწყვეტები მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობის. 11) ჩვენი დროის ინტელიგენცია—კ ორაგველიძე.

## სახალხო სასურსათო კომისარიატში

**გადასახადის სახით შემოსული ღვინო.** სასურსათო კომისარიატმა წინადადება მისცა თავის სამაზრო კომისრებს, რათა ის ღვინო, რომელიც სასურსათო გადასახადის სახით შემოვიდა და საექსპორტოთ კი არ ვარგა, გამოხდილ იქმნას არაყად.

**სურსათის გამოტანა მაზრებიდან.** კომისარიატმა ნება დართო, რათა რესპუბლიკის ყველა მაზრიდან, გარდა სიღნაღისა, თავისუფლად გაიტანონ სურსათი საქართველოს საზღვრებში.

**დახმარება დამშეულთ.** კომისარიატის კოლეგიაში საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ საფუთო გადასახადი გადახდეს დამშეულთა სასარგებლოდ ყველა იმას ვინც კომისარიატიდან სურსათისა და საქონლის გატანის ნებართვას მიიღებს.

**შვეიცარულ ყველის დამზადება.** სასურსათო კომისარიატმა ხელშეკრულობა დასდვა სალამალეიქის მესაქონლეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „რძე“-სთან, რომელმაც სასურსათო კომისარიატისათვის უნდა დაამზადოს შვეიცარული ყველი. ეს ამხანაგობა დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა. სალამალეიქის მიდამოები ეკუთვნის ბორჩალოს მაზრას, სახელდობრ ბაშკიჩეთის რაიონს და გათქმულია მესაქონლეობით. ამხანაგობას ამ ჟამად ჰყავს 370 მეწველი ძროხა და აქვს სამი ყველის ქარხანა, რომელთაგანაც ორი საბოლოოდ მოწყობილია. ამხანაგობას საშუალება აქვს, დაამზადოს მიმდინარე სეზონში 2.000 ფუთი ქართული და 3.000 ფუთი შვეიცარული ყველი. ხელშეკრულობის ძალით, რომელიც მხარეთა შორის დადებულ იქმნა ამა წლის აპრილის 26-ს, ამხანაგობამ სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის უნდა დაამზადოს 800—1000 ფუთი შვეიცარული ყველი პირველ ხარისხისა და ჩააბაროს არა უგვიანეს ამა წლის აგვისტოს 15-სა ფასად ფუთი 9 მან. ოქროთი. აღნიშნულ ყველის საფასურში სასურსათო კომისარიატმა ამხანაგობას მისცა 500 ფუთი ხორბალი, 500 ფუთი ქვა მარილი და 500 ფუთი კენჭი მარილი. თანახმად ხელშეკრულობისა ამხანაგობას ფუთს ყველში ეძლევა ექვსი ფუთი ხორბალი, მარილის ფასი კი ისეთი უნდა იყოს, როგორიც საერთოდ დაწესებულია. ყველის დანარჩენ საფასურად კომისარიატმა ამხანაგობას უნდა მისცეს ის საქონელი, რომელიც მის საწყობებში აღმოჩნდება ანგარიშის საბოლოოდ გასწორების დროს, მაგალითად: ხორბალი, ქვა მარილი, ბრინჯი, შაქარი, ჩითეული, ნაბდები და სხვა.

**თივის დამზადების ოპერაციები.** კომისარიატმა წარსულ საოპერაციო წლის განმავლობაში დაამზადა 192,000 ფუთი თივა. აქედან 118,000 ფუთი დამზადებულ იქმნა სამეურნეო წესით, ხოლო 74,000 ფუთი შესყიდვის გზით. (თივის დამზადებაზე სულ დაიხარჯა 3,708,000,000 მან. აქედან ფულის ნიშნებით დაიხარჯა 2,928,000,000 მან. ხოლო საქონლით 780,000,000 მან.) ხარჯების ჯამში შედის შეძენილ ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის ღირებულობა, რომელიც უდრის 239,000,000 მან. ამიტომ ეს ჯამი უნდა გამოირიცხოს ხარჯების საერთო ჯამიდან. ამ რიგად სახალხო სასურსათო კომისარიატს ფუთი თივა დაუჯდა 18,070 მან. მაშინ, როდესაც მაზრის საშუალო ფასი უდრიდა 65,000 მანეთს.

თივის დამზადების საქმის ხელისშემშლელი პირობები წარსულ საოპერაციო წლის განმავლობაში შემდეგი იყო: 1) ფულის უქონლობა, 2) თივის დამზადების გვიან დაწყება, 3) სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში მყოფ სათიბების სიმცირე და შეუფერებლობა სამეურნეო დამზადებისათვის (საუკეთესო სათიბები მიცემული ჰქონდა კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქარს) და 4) დამზადებულ პუნქტების მოუწყობლობა როგორც შენობის, ისე ინვენტარისა და მასალის მხრით.

უნდა აღინიშნოს, რომ სათიბი ადგილები მეტად უსამართლო და უთანასწოროდ არის განაწილებული სასურსათო კომისარიატსა და კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის შორის. საუკეთესო სათიბები წელსაც ამ უკანასკნელს გადაეცა. ამას გარდა საუკეთესო სათიბები დაიტოვა თავისთვის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმაც, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ.

ამის მიუხედავად, სასურსათო კომისარიატს იმედი აქვს დაამზადოს იანვრის პირველამდე 500,000 ფუთი თივა. ამ საქმის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა: 1) დამზადება გადაყვანილ იქმნეს სამეურნეო წესზე, 2) გადაიდოს ამ ოპერაციებისათვის საწარმოო თანხა სამი მილიარდი მან., რომელიც უნდა მიეცეს მაისისა და ივნისის განმავლობაში, 3) მოსამსახურენი მოხსნილ უნდა იქმნან სახელმწიფოებრივ მომარაგებიდან და მათ უნდა მიეცეს საპროცენტო ჯილდო.

სასურსათო კომისარიატს თივის დასამზადებლად საკმაოდ აქვს ტეხნიკური ინვენტარი და მასალა, რომლის ღირებულებაც 15 მილიარდ მანეთს უდრის. ტეხნიკურ ინვენტარის შესაკეთებლად და თივის დამზადების ტეხნიკური მასალის [illegible] დასაკმაყოფილებლად კომისარიატს ტფილისში სარემონტო სახელოსნო აქვს. წლის განმავლობაში სახელოსნო აკმაყოფილებდა არა მარტო სასურსათო კომისარიატსა, არამედ ჯარის მიერ წარმოებულ თივის დამზადების სატეხნიკო და სარემონტო საჭიროებებს. 500.000 ფუთი თივის დასამზადებლად საჭიროა იანვრის პირველამდე 35 მილიარდი მან. მათ შორის სამი მილიარდი საქონლით. წმინდა მოგება სულ ცოტა 7 მილიარდი დარჩება, თუ ეს თივა გაიყიდება 20% მოგებით. ამ რიგად თივის დამზადების ოპერაცია თავის მოგებიდან დაჰფარავს ავანსს (2 მილიარდს), რომელიც მიცემული ექნება საწარმოო თანხად და დასტოვებს 5 მილიარდს მომავალ კამპანიის საწარმოებლად და საქმის გასაუმჯობესებლად.

სასურსათო კომისარიატი წლის განმავლობაში აძლევდა დაწესებულებებს თივას ნისიად და 25% დაკლებით მაზრის ფასებთან შედარებით. დღემდე მათთვის მიცემული აქვს 8 მილიარდამდე მანეთის თივა.

## მოწერილი ამბები

**ხოფ. საქარის-ქედი.** (შორ. მაზრა) საყურადღებოა, თუ როგორ და რა წესით ტარდება აგრარული რეფორმა პროვინციაში, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითი სოფ. საქარის-ქედის ცხოვრებიდან. ისე როგორც ყველა სოფლებს, საქარისქედის მცხოვრებლებსაც ყავდათ არჩეული მიწის კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელიც უცდიდა მაზრიდან განკარგულებას, რათა შეესრულებინა თავის მოვალეობის ასრულება. მაგრამ რატომღაც მოხდა ისე, რომ არჩეულ კომისიის მაგიერ მის ადგილზე ა. წ. გაზაფხულზე მუშაობა დაიწყო სრულიად სხვა პირებმა. (ხალხმა არ იცის თუ ვისგან არიან ეს პირნი არჩეულნი) სანამ მათი მოქმედების აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, თუ რისი მქონე და შეძლები არიან მოხსენებული სოფლის მცხოვრებნი. აქაური მცხოვრებლები, რომელნიც წლის მეტ დროის განმავლობაში გურია-სამეგრელოდან შემოტანილ სურსათით იკვებებიან, აქვთ მაქსიმუმი 4—5 დესეტინამდე მიწა, რომელშიაც შედის ტყე, ეზო, დასამუშავებლად უვარგისი ადგილები, ვენახი და მცირეოდენი სახნავ-სათესი, ასე რომ ჩვენი სოფლის მუშა ამ მიწის პრიმიტიული, წესით დამუშავების შემდეგ ღებულობს იმდენ [illegible], რომელიც ნახევარსაც ვერ აკმაყოფილებს მის მთავარ მოთხოვნილებებს. მიზეზი ამისა გახლავთ მიწის უვარგისობა ერთის მხრით და მეორეც ის, რომ მუშას არ აქვს საშუალება თავის ნაჭერი მიწის კულტურულად დამუშავებისა. ახალი კომისია შესდგომია მიწების ჩამორთმევას, ასე რომ ვისაც 4—5 დესეტინა მიწა ქონდა, მათთვის დაუტოვებიათ მხოლოდ ორი დესეტინა და ისიც ამოურჩევლად. ჩამორთმევა შემდეგი წესით ხდებოდა: კომისიის წევრები მეზობლების თანხლებით უზომ ვიდენ ადგილებს პატრონებს; არავითარმა ხვეწნამ, არავითარმა მუდარამ მიწის პატრონებისა, რომ კომისიამ ანგარიში გაუწიოს ადგილობრივ პირებს არ გასჭრა და ამიტომ მათ მიმართეს მაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილებას თხოვნით, რათა მას მიეღო მხედველობაში ყოველივე ზემოდ ნათქვამი და დახმარება გაეწია ამ საქმეში მათთვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მიწად-მოქმედების განყოფილება აღმასკომთან ერთად ღებულობდა სათანადო ზომებს, კომისია მაინც თავისას ჩადიოდა, მიწის ქაღალდს გლეჯდენ ხელში მიმტანს და მასთან მუქარითაც უმასპინძლდებოდენ. საკვირველი ის არის, რომ ეს ვაჟბატონები მმართველი პარტიის სახელით გამოდიან და ვითომც მათი დავალებით ჩადიან ყველა ამებს, რაც დიდ გაუგებრობას და გულისწყრომას იწვევს სოფლის საზოგადოებაში. ესევე ხდება მაზრის სხვა სოფლებშიაც. ამისათვის საჭიროა მიექცეს მათ ასეთ თავხედურ მოქმედებას ჯეროვანი ყურადღება [illegible] ჯერ არის, რათა გაიფანტოს მათის მეოხებით ხალხში შექმნილი უნდობლობა მმართველ პარტიისადმი.

Nason,

---

ამილახვარი მიუძღვა გივი ამილახვარი თეიმურაზსა და ირაკლის.

თეიმურაზი და ირაკლი მაშინ იმ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ სპარსეთთან შეთანხმებით დასუსტებული ოსმალეთი ძალზე დაესუსტებინათ და ოსმალეთის გავლენა და ზედმოქმედება ახალციხესა და ახალქალაქზე სრულებით მოეშორებინათ. ამ გარემოებით კი ირაკლი და თეიმურაზი თავის სამეფოში გაძლიერდებოდნენ და მთელი საქართველოც დიდ მშვიდობიანობას მიეცემოდა. მაგრამ გივი ამილახვარი ამ პოლიტიკის წინააღმდეგია. ამიტომ იგი ოსმალეთს მიეკედლება, ოსმალეთის დახმარებით და გავლენით, საშუალებითაც კი დაღესტნიდან ლეკების რამოდენიმე ათასეულს შემოარს გადმოიყვანს, ამით დაიხმარებს და ამათ მოხმარებით ქართლსა და კახეთს არბევს, აწიოკებს. ასეთი მოქმედებით კი იგი თეიმურაზსა და ირაკლის ხელს უშლის, რომ ამ უკანასკნელებმა თავისი პოლიტიკა მხნეთ და მტკიცეთ აწარმოონ, შეასრულონ. ასე ხშირად გამოწვეულნი, ლეკები უკვე ეჩვევიან საქართველოს დარბევასა და აწიოკებას. ესენი ასე წაქეზებულნი და წათამამებულნი, საქართველოს მუდამ კრიჭაში უდგანან*), ცხადათ და მალულათაც მას თავს ესხმიან და აწიოკებენ, მკვიდრთ კი იტაცებენ**). ლეკებისა და განდგომილთა ასეთი საქციელი და მოქმედება თეიმურაზისა და ირაკლის პოლიტიკის გეზს აფერხებდა, მოარყევდა. ლეკების კადნიერება იქამდის მიდის, რომ თვით ირაკლის თავს ესხმიან სწორეთ მაშინ, როცა ირაკლი ტფილისისაკენ მიისწრაფებოდა რათა დასწრებოდა თვისი მამის, თეიმურაზის ტახტზე ასვლისა და დაგვირგვინების დღესასწაულს 1745 წ. ეს კი დიდი დღესასწაული იყო არა თვით ირაკლისათვის პირადათ, არამედ მთელი საქართველოსათვისაც, რადგან საქართველოს მეფე ოფიციალურათ ტახტზე არ ასულა და არ დაგვირგვინებულა 1632 წლიდან.

მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში ძალზე გამწვავებული იყო დამოკიდებულება იმერეთის მეფეებსა და იმერეთის ერისთავებს შორის. ომი გაჩაღებული იყო ამათ შორის, სისხლი განუწყვეტლივ იღვრებოდა, ქვეყანა კი ყოველი სიკეთისაგან ძალზე იცლებოდა. ხან ერთი მხარე სჯობნიდა, ხან მეორე. ამ აწიოკებასა, დარბევასა და მიხტომ მოხტომაში მონაწილეობას იღებდნენ მთელი იმერეთის მცხოვრებლებიც, რადგან ესენი ან ერთ მხარეს, ან მეორეს უეჭველად მიიმხრობდნენ. ამიტომ ესენიც ამ ძალმომრეობის მონაწილენი იყვნენ. ამიტომ ცხოვრება საზოგადოთ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. ეს ცხოვრება ირღვეოდა და იგლიჯებოდა, წინ არ მიდიოდა და არ უმჯობესდებოდა. მაგრამ ეს ბრძოლა ყოველგვარ პრინციპიალობას, საზრიანობას მოკლებული იყო. თითქოს ადგილი ჰქონდა მოქალაქეობრივ ომს და ბრძოლას. მაგრამ ნამდვილად კი აქ ნასახიც კი არ იყო აზრთა და მისწრაფებათა განსხვავებისა. აქ შუღლი როდი იყო ცხოვრების გასაუმჯობესებელ გეგმათა განხორციელების, გატარების შესახებ. ერთიც მეორე მხარეც აღმსარებელი იყო ერთნაირისავე ზრახვისა, ფიქრისა და მისწრაფებისა, ერთნაირისავე გეგმის მატარებელი იყო. აქ, მაშასადამე, პირადობათა შორის იყო მხოლოდ ბრძოლა, ბრძოლა საპირადო ნიადაგზე დამყარებული, პირადი ნებასურვილებით გამოწვეული და პირადი ჟინიანობით აღტყინებული. აი, ეს იყო მთელი საშინელება ამ უშინაარსო ბრძოლებისა და აოხრება-აწიოკებისა. პირველი მხარე, რომ გაიმარჯვებდა, იგი მეორე მხარეს, ძლეულს, ტყვეობათ გაჰყიდდა ან სათათრეთში, ან სპარსეთში, ან მთიელებში. მეორეც, თუ კი გამარჯვებული იქნებოდა, ასევე იქცეოდა. ტყვეების გაყიდვა ხომ სენათ იყო გადაქცეული ყოველგან მთელ საქართველოში, ნამეტურ კი ოდიშში, სამეგრელოში. „ოდიშს და გურიას იყიდოდა ტყვენი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიპარტიანებისაგან (დადიანებისაგან)“,—ამბობს მემატიანე. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ საძრახ საქმეს ღვთის მოსამსახურენიც, ქუთათელიც კი აწარმოებდენ. სეხნია ჩხეიძის (გიორგი მე-11 ისტორიკოსის) შვილი იყო ქუთათელი, რომელიც იყო—„კაცი მეძავი, კაცის მკვლელი და ტყვის მყიდავი“. თუ ქუთათელი ასეთი პირი იყო, ასეთ საქციელს ჩადიოდა და არ თაკილობდა, სხვები, აბა, რაღა სახსენებელია. მაშასადამე, არც ერთ მებრძოლ მხარეს არ აცისკროვნებდა არავითარი სურვილი და ზრუნვა ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობისათვის. ორივე მხარე საპირადო საქმეს იკეთებდა და სურვილებს უსრულებდა ჩვენი ქვეყნის გამძვინვარებულ მტრებს: ოსმალეთს, სპარსეთს და ამათ აგენტებს ახალციხის ფაშასა და ლეკებს.

ი. ფანცხავა.

(შემდეგი იქნება).

*) ბერ[illegible]ნამ ამგვარ სახელს ყურალაჯს (ქიზიყში, ლაგოდეხთან ახლოს). ამ ხანს [illegible] აქეზებდენ და შემწეობასაც აძლევდენ, რომ კახეთი და ქიზიყი ძალზე შეევიწროვებინა. ამიტომ ბერ[illegible]ნი ამ წამქეზებლების გულის მოსანადირებლად თავგამოდებით (ცდილობდა) კახეთიდგან ზოგს აწამებინებდა, ზოგს ცხადლივაც ახოცვინებდა და აულტინებდა, ქვეყანას კი აკლებინებდა. „იყო ლეკთაგან ტყვევნა ოხრება და კვლანი კაცთანი მზირობითა, ავაზაკობითა და პარვითა“,—ამბობს მემატიანე. ასეთი საშინელი ხანა გაგრძელდა ოცდა ექვსი წლის განმავლობაში, 1677—1703 წ.

**) სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეხუთედი გადადებული იყო საქველ-მოქმედო მიზნით. ეს ფული თითქმის სრულიად უნდებოდა ლეკების მიერ გატაცებულ ტყვეთა გამოხსნასა და გამოყიდვას.

№ 8 ახალგაზრდათა ხმა № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოვა სამშაბათობით და პარასკევობით
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი „ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

# ახალგაზრდათა კონფერენციისათვის

მომენტის სირთულესთან ერთად, ყოველი ახალგაზრდა, პარტიის წევრი, აუცილებლად გრძნობს იმ ფრიად პასუხსაგებ მოვალეობას, რომელსაც აკისრებს მას პოლიტიკური პარტიის წევრად ყოფნა. დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ორ სოციალისტურ პარტიას უხდება მუშაობა.

კომუნისტურ პარტიას საქართველოში არა აქვს იმდენი ხნის ისტორია, რომდენიც სხვა ეროვნულ-სოციალისტურ-პოლიტიკურ პარტიებს. მას, შეიძლება ითქვას არ განუცდია მშობლიური ნაციონალური სითბო, მაგრამ თავისი პრინციპის, თეორიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მას უხდება ანგარიში გაუწიოს საქართველოს არსებულ სინამდვილეს და დღეს როგორც, მენშევიზმიც (1918 წ.), ისე ისიც იძულებულია ქედი მოიხაროს ეროვნული პრობლემის წინაშე პრაქტიკულ და თუ გნებავთ „ტაქტიკური“ თვალსაზრისითაც.

ამ მხრივ მას არ შეუძლია რამე ახალი სთქვას, გარდა იმისა, რასაც უკარნახებს მას არსებული პირობები.

ქართველი საზოგადოების უმთავრესი ყურადღება დღეს, პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედე მეორე პარტიისაკენაა მიმართული, რომელსაც საქართველოს ახალმა ისტორიამ არგუნა მებაირახტრეობა გაეწია საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეისათვის და რომელსაც სამართლიანად ემსახურება მიმდინარე საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში.

ვისთვისაა დღეს უცხო, თუ რამდენი გოლგოთის ჯვარი იყო აღმართული საქართველოში ეროვნულ ჰანგზე მოაზროვნე ქართველისათვის.

ერთის მხრივ, გაამფთრებული მონარქიული ჟანდარმერია, რომელიც ეროვნულ თავისუფლებისა და რევოლუციის მუშაკთა ჩონჩხებით უწყალოთ ავსებდა ციმბირის ტუნდრებს, კირწყავდა შიგ მაღაროებს და მეორეს მხრივ საქართველოში არსებული სოციალ დემოკრატიული მიმართულება, რომელიც აგრეთვე დათვურ სამსახურს უწევდა ეროვნულ საქმეს; მთელი მოძღვრება მენშევიზმისა გამსჭვალული იყო „კოსმოპოლიტურ“ აზრებით, და სასტიკი მოწინააღმდეგე ეროვნულ-სოციალისტური ჯგუფებისა.

და ამიტომაც საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იდეამ პირველად საზღვარ გარედ ჰპოვა ფორმალური გამოსახვა და გარკვეულ იდეოლოგიაში ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა პოლიტიკო - სოციალურ - ეკონომიური თვალსაზრისით, თორემ ჩვენ არ ვივიწყებთ, ეროვნულ მიმართულებას ქართულ მწერლობაში, რომელსაც ჩამოყალიბებული პოლიტიკური სახე არ ჰქონია.

პარიზის „საქართველომ“, პირველმა წამოისროლა ლოზუნგი, პოლიტიკურ პრესაში, ჩვენი სამშობლოს ეროვნული თავისუფლების შესახებ და მას აქეთ (1903) დაიწყო ბრძოლა ამ „საქართველოს“ პარტიის ე. ი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოში გამომხიზნული „ქართველი მენშევიკები“-ს შორის.

მე აღარ შევჩერდები ამ „ბრძოლის“ დეტალებზე, ალბათ ყველას ექნება მასზე გარკვეული წარმოდგენა, თუ როგორ არ ზოგავდნენ მენშევიკები არც და მუშაობას ჩვენი პარტიის პრესტიჟის დასამცირებლად და ეროვნული იდეის (ტერიტორიალური თვითმართველობისაც კი) აღმოსაფხვრელად ქართველი ერის გულისაგან.

მაგრამ ისტორიის ლოგიკურმა მსვლელობამ ნათლად და აშკარად დაამტკიცა, რომ ერი არ არის მსოფლიოს ისეთი დიფერენციალი ელემენტი, რომლის ასიმილაცია სხვა ნაციონალურ ერთეულებთან ასე ადვილი საქმე იყოს.

აქაც როგორც სხვა საკითხებშიაც გამართლდა სოციალისტ ფედერალისტური პროგრამა, რომელიც ერს სახავს, როგორც გარდუვალ მუდმივ ისტორიულ კატეგორიას და ნაციონალური გზა მიაჩნია აუცილებელ პირობად ინტერნაციონალურ ოჯახში შესვლისათვის.

ჩვენი მენშევიკები 1918 წლის მაისის 26 აქტის შემდეგაც კი ყოველ გზა ჯვარედინზე და მუდამ გაიძახოდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იყო ისტორიულად სამწუხარო და გარდამავალი მოვლენა. ისინი დამოუკიდებლობის იდეის დროულ მოვლენად სთვლიდნენ და გაუგებარია დღეს ასეთი წარსულის მქონე ხალხი ესოდენ პრეტენზიას აცხადებს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე და მთელი არსებით ეტრფის იმას, რასაც იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში.

მაგრამ მე მინდა ისევ ჩვენი იდეოლოგიის მიმდევარ ახალგაზრდობას დაუბრუნდე. ამ მოკლე ხანში ის პარტიულ კონფერენციას აწყობს. მან უნდა გადადგას თავისი პირველი ნაბიჯი ეროვნული სხეულის გაჯანსაღების მიმართ. ჩვენი პარტიის არსებობის რეზონდეტრი დღემდე მდგომარეობს იმაში, რომ ჯეროვანი სამსახური გავუწიოთ არა მარტო რევოლუციას საზოგადოდ, არამედ ქართულ ეროვნულ შემეცნებას—ნაციონალურ კულტურასაც იმავე დროს. აქეთკენ იყო მიმართული ჩვენი პარტიის მოქმედების აპარატიც ამდენი ხნის განმავლობაში.

უკანასკნელ ხანებში პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ, რომელიც გარკვეულ მიზეზებზე იყო აღმოცენებული, პარტიის მემარჯვენე ჯგუფმა არა ლეგალური გზა არჩია თავისი არსებობის გასამართლებლად, კოოპერაციებსა და საკრედიტო ამხანაგობაში მოაქცია თავისი წევრები და იქ ფიქრობს თავისი მოვალეობის შესრულებას ერის მიმართ.

ხოლო მეორე მემარცხენე მიმართულებამ, რომელსაც უფრო გარკვეული შეხედულება და რადიკალური საზომი ქონდა თანამედროვე ისტორიული მოვლენების შეფასების დროს, არჩია ხალხთან დარჩეს „ჭირშიც და ლხინშიც“ და უკანასკნელ ხანებამდე პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა.

შეიძლება მრავალი შეუწონავი გარემოება ელობება მას თავისი მრწამსის განაღდების დროს, შეიძლება ორ ფრონტზე ბრძოლამ მრავალი ენერგიის გაღება მოითხოვა მისგან, მაგრამ სამუშაო ისევ ბევრი დაგვრჩა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარტიის არსებობის იმპულსი კვლავ გაჯანსაღებას მოითხოვს; (მისთვის საჭიროა ახალი დირექტივა, ახალი სიტყვა)—უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობამ უნდა იგრძნოს მომენტის სირთულე, ჩვენი მოვალეობა. მისი პირდაპირი ვალია სთქვას თავისი სიტყვა, რომელიც პირველი იქნება მის პირველ კონფერენციაზე.

გ. თ—ლი.

# ქართველი ახალგაზრდობა

ვინც ოდნავ მაინც ჩაუკვირდება ქართველი ახალგაზრდობის დღევანდელ მდგომარეობას; ვინც მიუდგომლად გადახედავს მის დაქსაქსულ რიგებს და დაპნეულებას, მისთვის ძნელი არ იქნება გამოძებნოს მიზეზები ჩვენი ახალგაზრდობის ასეთი მდგომარეობისა. საქართველოში გამოთავეთავებული, დამოუკიდებელი ახალგაზრდათა მოძრაობა იმ სახით, როგორც ევროპაში, არასოდეს არ ყოფილა. ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიათა წრეში იმყოფებოდა და შეძლებისდაგვარად იქ მუშაობდა, სადაც მისი სული ნავთსაყუდელს პოებდა.

ამ რიგად ის მოზიარე და მატარებელი იყო იმ პოლიტიკისა და ტაქტიკის, რომელსაც იცავდა ესა თუ ის პარტია. ქართველი ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაცია თავის საკუთარი სახის მატარებელი არ ყოფილა და ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია მათი დღევანდელი მდგომარეობა მათივე მსოფლმხედველობის და ტაქტიკის მარცხით ავხსნათ. დღევანდელი ქართველი ახალგაზრდობა დაბნეული და გაურკვეველია იმდენად, რამდენადაც თვით ის პარტია, რომლის რკალშიაც იმყოფებოდა და მუშაობდა ჩვენი ახალგაზრდობა.

ქართველი ახალგაზრდობა ქართველის ბედით გულდასერილი მუდამ ძიებაში იყო მის სათაყვანებელ ნესტან დარეჯანის—საქართველოს — გასანთავისუფლებელ გზების გამონახვისა. ჩვენი ახალგაზრდობა გზნებით მოცულ ზივი რეაქციის დროს ჯურღმულებში ეცნობოდა ჩვენში თუ რუსეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა მსოფლმხედველობას და ცდილობდა ეპოვა პასუხი მისი გულის ძგერისა, რათა შემდეგ ამ გზით ევლო ქართველი მშრომელი ხალხის—ქართველი ერის—განთავისუფლებისაკენ. ეს მძიმე მუშაობა ქართველმა ახალგაზრდობამ პირნათლად შეასრულა და ამისათვის დიდება მას. მის ღვაწლს რევოლუციის ისტორიის მატიანე ვერ დაივიწყებს. ამ ძიებაში ქართველი ახალგაზრდობა წააწყდა ერთ ოაზისს, რომლის ჩრდილშიაც მოიკალათა ოთხმოცმა პროცენტმა ჩვენი ახალგაზრდობისა.

ეს ოაზისი გახლდათ საქ. სოც.-ფედ. პარტია. პარტია სადა ეროვნული და სოციალისტური მრწამსის მატარებელი. დანარჩენი ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა ერთის მხრით დაადგა მენშევიზმის გზას, ხოლო მეორის მხრით ჩვენი ახალგაზრდობის უმნიშვნელო ნაწილმა თავიდანვე გაიზიარა რეაქციონური პარტიის მსოფლმხედველობა საქართველოში. ამნაირად ქართული ახალგაზრდობა სამი მიმართულების გარშემო იყრიდა და იყრის დღესაც თავს. დიდი უმრავლესობა სოც. ფედ. პარტიის გარშემო; ერთი წილი მენშევიკთა პარტიასთან, ხოლო მეორე მცირე ნაწილი კი, თავიდანვე რეაქციონურ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია, როგორც საშუალო მატარებელი რეაქციის და კონტრრევოლუციისა პირველი დღიდანვე გარიყა რევოლუციამ და რევოლუციონურ ფრონტზე არაფრის წარმოადგენდა. სოციალურმა რევოლუციამ მას თავიდანვე თავზარი დასცა და ეს პარტია დამბლა დაცემულ ადამიანს მოგვაგონებდა მთელი რევოლუციის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში მათ ვერც იდეიურად და ვერც ფიზიკურად ვერ შესძლეს კვალის დაჩნევა რევოლუციის მსვლელობაზე. ამისათვის, ახალგაზრდობა, რომელმაც მათ ფრთებს შეაფარა თავი თავიდანვე დაბნეული იყო და რევოლუციის მიერ წამოყენებულ ვერც ერთ საკითხს ღირსეულ პასუხს ვერ გასცემდა, ვინაიდან ჩვენ კარგად ვიცით: „ვერ ხელეწიფებიან ხესა ხეხილსა, ნაყოფისა კეთილისა გამოღებად“.

რაც შეეხება დანარჩენ მიმართულებების ახალგაზრდობას, ამაზე შემდეგ.

ი. ნოგორიშვილი.

# სად არიან და რათ?!.

ი!, რაც ეხლა გენუას კონფერენციაზე ხდება, სადაც შეყრილია ორი გიგანტური მოპირდაპირე ძალა—ერთი მეორის კბილის გასასინჯათ,—უნდა უსათუოდ აინტერესებდეს როგორც მთელს მშრომელ ხალხს, ისე საქართველოს მომავალ თაობასაც.

უკვე კარდინალურათ დაისვა საკითხი—მსოფლიოს მშვიდობიანობისა თუ საბოლოო ანარქიის შესახებ და ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ფაქტი იმისა, რომ კონფერენციის ზღვნი უკვე შეირყა მათის გულის-წყრომითა და სამართლიან მქუხარე თქმით, ვინც მშრომელთა დიქტატურის დასაცველათ ხმა აღიმაღლა—ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ შესაძლებელია უფრო მეტის მიღწევაც. ის, რომ მთელი ფოკუსი კონფერენციის მსვლელობისა მიმართულია ამ უცნაური და უმრავლესობისათვის უცხო ერის წითელ პირობებისაკენ, კიდევ ერთხელ აშკარავებს მტკიცე შესაძლებლობას — მსოფლიოს კანონიერთა მომავლის გამარჯვებისა.

ვერავინ გადუხვევს მსოფლიოს ევოლუციის კანონებს და ვინც ეცდება მისი ჩარხის შეჩერებას ან უკვე ათქვეშებულ ამლინარებაზე დაცურებულ ტივების სუსტი ორთაყვირებით აღმაშებრუნებას, იგი მიუცილებელი დაიმსხვრევა. ეს მოხდება იქაც, სადაც უკვე აიმართა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ორი დახელოვნებული ფალავანი, ერთის მხრით—„გოლიათი“, მშვილდ-ისარით შეჭურვილი და მეორეს—, ნორჩის, მაგრამ ახალის სიძლიერით აღსავსე „დავითი“, რომლის იარაღით ქუჩიდან აღებული ქვის გუნდაა,—სიმკვრივით გამარჯვების თავმდები.

საუკუნოებით განვლილმა ისტორიამ იცის მრავალი მაგალითები ახალი ეპოქების შექმნის პროცესისა; იცის ეს პოლიტიკაში, ლიტერატურა—ხელოვნებაში, რელიგიურ მიმართულებაში და თვით ცხოვრების წვრილმან ატრიბუტებშიაც-კი. და მთელი ეს წყება წამებულ პროცედურებისა, თავის ზურგზე გადამტარებია საუკუნოებით და წლობით ყოველთვის ახალ-თაობას.

ნაზარეველის გვირგვინივით ეკლიანი იყო ის ჭეშმარიტების სიმბოლო, რომელიც სისხლში ნაღები შემოამტვრევდა კარებს—ძველ დახავსებულ კაპიტოლიუმში, ახალის სხივით და გაჩირაღდნებული მიუძღოდა წინ, ჭეშმარიტების მაძიებელთ მანამდე, სანამ კვლავ ახალი ძიების სამყაროდან კვლავ არ გამოაშუქებდა რომელიმე კიდევ უცხო პლანეტა—ძველის ცეცხლის მეტოქეთ.

და ყველა ეს კარგათ იცის მშრომელმა ახალგაზრდობამ, კარგათ იცის ჩვენმა ქართველმა ახალმა თაობამაც, რომელიც ყოველ აწმყოსა თუ ნამყოს პირველი მისსიონერები იყვნენ, სოციალისტურ კანონებისა თუ რევოლუციონურ—ეტაპების დროს და ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში.

მაგრამ, დღეს ამ მსოფლიოს საინტერესო ჭიდილის დროს, როდესაც უნდა საბოლოოთ ჩამოქანდაკდეს სახე მომავლის კანონიერ არსებობისა, დღეს არ ჩანს ჩვენი ახალგაზრდობა მებრძოლთა რიგში, არ ისმის ჩვენი ახალგაზრდობის ხმა ამ ახალ გარდაქმნის ყიჟინაში.

რა არის მიზეზი?
რაშია საქმე?

სად დაიკარგა ჩვენი ახალგაზრდობის ყველაზე მაღალი, ამაყურად მოფრიალე დროშა, რომელიც ყოველ ხანას, თავისებურ სახეს აძლევდა და ამეტყველებდა?..

სად ჩაწყდა ხმა იმ თავდადებულ, მებრძოლ ქართველ ახალგაზრდობისა, რომელიც პირველი გამოვიდა თავის დროშით 1917 წ. რევოლუციის დასაწყისს?

რად გაქრა ურყევი ნება და ენერგია, რად დადუმდა იმ გრძნობიარე გულების ცემა, რომელიც წარსულში ერის ყოველ ტკივილზე პირველი აკვნესდებოდა, პირველი აინთებოდა და პირველივე გადაეშვებოდა ქუჩებშივე—მძლე ყიჟინით, სამშობლოს ორგულების, მისი დაჩლუნგებულ ცრუ პოლიტიკანების და ერის თავისუფლების შემბღალველ მტერთა შესამახრავად?!!

სად არის თუნდაც საქ. ახალგაზრდობის ის დიდი უმრავლესობა, რომელიც აქ იყო, არჩილის წმინდა ეროვნულ—სოციალისტურ დროშის გარშემო?

სად არიან და რად? აი კითხვა, რომელიც გაისმის ჩვენი გაზეთის „ახალგაზრდათა ხმიდან“.

თუ შეგვრჩენია საშუალება აშკარა ლაპარაკისა და პირადი თქმისა, თუ ვიქნებით გულწრფელნი და რეალური სინამდვილეს პირდაპირი, სითამამით ვამხილოთ,—უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ტრადიკული კითხვის ნიშანი ყველას ცხვირწინ ჰკიდია და მისი ამოხსნა მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია და ეს ერთი რამე არის ჩვენი ეროვნული თავისუფლება.

ჩვენი ახალგაზრდობას ყოველთვის ასულდგმულებდა და აღფრთოვანებდა რევოლუციონური პათოსი, მისი გაქანება; ის ძლიერი და ამაყი იყო ეროვნულ—სოციალისტურ დროშის ფრიალით, მაგრამ დღეს, როდესაც მკრთალი სოციალისტური სინათლეზე—გაჯაიტრუსა ყველას სახეები და ამ წითელ დროშის ტარი მარტო ქართველ მკლავსაც-კი არ უჭერია, დღეს მოდუნებულია მათი ყიჟინის ქშუილი, ხმა-წახლეჩილია მათი გულწრფელი ამოძახილი და ილაჯ დაწყვეტილია მათი რევოლუციონური სვლა, ამ მსოფლიოს გარდატეხის უდიდეს პროცესის დროსაც-კი დღეს ეს ახალგაზრდობა, ჩვენდა სამარცხვინოთ და სავალალოთ, სადღაც ბნელ კუნჭულებშია მიმალული, ან და კიდევ, ამ რევოლუციაში მოვლენილ ახალ „მეფოროვე“, პატრიოტ—სოციალისტების, ესდეკების, (აფსუს ვინ გამოდის დღეს დროს დამცველი?) უნიადაგო პროვოკაციის ფეხის ამყოლათ გვევლინება.

დიდი სირცხვილია იმ ახალგაზრდობისათვის, რომ ისინი ასე ბრმათ მისდევენ იმ ხალხს, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ, არც ერის ინტერესების დაცვის საქმესთან და რომელთა სოციალისტობაც ასე აშკარათ სინამდვილით აირეკლა ახალ პერიოდის, რევოლუციონურ წითელ ფონზე.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოს ახალგაზრდობა, აქტიური მონაწილე იქნება ეხლანდელ რევოლუციის პროცესის,

შალვა ხახლანი.

# კონფერენციისათვის

ჩვენ საყვარელ ძველ ჰელართან ქუთაისში პირველ ივლისისათვის შეიკრიბება საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ახალგაზრდათა კონფერენცია. ეს აქტი მრავალმნიშვნელოვანია ჩვენი ერისა და ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. პირველად უხდება სოციალ-ფედერალიზმისათვის თავგანწირულად მებრძოლ ახალთაობას შეიკრიბოს მას შემდეგ, რაც ერთის მხრივ ჩვენი ერის ისტორიაში მოხდა დიდი პოლიტიკური ცვლილება და მეორე მხრივ ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. ეს ის დროა, როდესაც აბობოქრებული მსოფლიო ორათ არის დარაზმული, რევოლუციონური და რეაქციონური ძალები თავგანწირულად ებრძვიან ერთი მეორეს და ამ დროს ისტორიისა და ცხოვრებისაგან წამოჭრილი ყოველი საკითხი ჩვენგანაც შესაფერის პასუხს ითხოვს. საითკენა ვართ ჩვენ. ვისთან გვაერთებს ჩვენი იდეოლოგიური გაგება? რას მოითხოვს ჩვენგან ერის სამსახური? კონფერენცია იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას. იგი იტყვის, რომ ჩვენი ორიანტაცია სოციალური რევოლუციის ორიანტაციაა, რადგანაც მასში ვხედავთ ჩვენი ერის ხსნას ამას გვავალებს ჩვენი იდეოლოგიური გაგებაც. ჩვენ დროშაზე ერი და სოციალიზმი აწერია: დღევანდელი მოძრაობაც ჩვენ გაგებას ამართლებს. დღევანდელი მოძრაობის დროს კლასობრივ მიზნებზე არა ნაკლები ხასიათი აქვს ეროვნული ხასიათის ბრძოლებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ კაპიტალისტურმა მეურნეობამ პატარა ერები საშინელ ექსპლოატაციის წინაშე დააყენა, რათა თავის სასარგებლო საგნათ გამოეყენებინა. ჩვენი ერიც ამ საშინელებას ვერ ასცდება თუ მისი გზა არ იქმნა მიმართული სოციალური რევოლუციისაკენ. კონფერენციის სახელით ჩვენმა ახალგაზრდობამ ყველა ამ კითხვებზე თავის შესაფერისი პასუხი უნდა გამცეს. მაშ წმინდა გულით, როგორც ყოველთვის ჩვენ ახალგაზრდობას ჩვევია, გულწრფელათ შევიკრიბოთ კონფერენციის წინაშე და ჩვენი სიტყვა უთხრათ ქართველ ერსაც ქართველ ხალხს. კონფერენციამ უნდა გამოიმუშაოს ჩვენი მუშაობის მომავალი გეგმები, რათა ამით დაგვირგვინებულ იქმნას ჩვენი წმინდა საქმე. გულის ფანცქალით ვართ კონფერენციის მოლოდინში.

გ. მდივანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700

საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.

ნ. ფ. ს. ც.